



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის  
სამინისტრო  
**MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF  
GEORGIA**



KA060174877397716

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge  
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

# 4435

03 / ივნისი / 2016 წ.

ა/ო „მწვანე ალტერნატივა“-ს  
ბიომრავალფეროვნების პროგრამის  
კოორდინატორს ბატონ ირაკლი მაჭარაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მიმდინარე წლის 20 მაისს შემოსული #04/02-216 წერილის პასუხად გიგზავნით შემდეგ ინფორმაციას:

- 2011 წლიდან დღემდე (წლების მიხედვით) შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიებით განსაზღვრულ მოსაპოვებელი რესურსების რაოდენობას. ( იხ.დანართი 1 - 6 გვერდი **Exell**-ის ფაილი);
- 2011 წლიდან დღემდე შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიების საფუძველზე მოპოვებული სახეობების რაოდენობას - ფაქტიური მოპოვება. (დანართი 1 - 6 გვერდი **Exell**-ის ფაილი) შენიშვნა: 2016 წლის მონაწემები არასრულია,რადგან ყველა ანგარიშ წარმოდგენილი არ არის.
- 2011 წლიდან დღემდე შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიებით განსაზღვრული მოსაპოვებელი რესურსების რაოდენობა (სახეობების მითითებით). (იხ.დანართი 2- 6 გვერდი **Exell**-ის ფაილი)
- 2011 წლდან დღემდე შავ ზღვაში თევზჭერის ლიზენზიების საფუძველზე მოპოვებული სახეობების რაოდენობა (ფაქტიური მოპოვება); (იხ.დანართი 2 -6 გვერდი წლების მიხედვით **Exell**-ის ფაილი). შენიშვნა: 2016 წლის მონაწემები არასრულია,რადგან ყველა ანგარიშ წარმოდგენილი არ არის.
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიაზე 2012 წლიდან დღემდე გამოყოფილ ტყეკავებში მოსაპოვებელი მერქნული რესურსის მოცულობის შესახებ ინფორმაციას (მ3) ჭრის მიზნის მიხედვით. (იხ.დანართი 3 -ის მეორე გვერდი)
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიაზე ათვისებული მერქნული რესურსის მოცულობის შესახებ ინფორმაციას ჭრის მიზნის მიხედვით-ფაქტიური მოპოვება;(იხ.დანართი 3-ის მესამე გვერდი);

ასევე გიგზავნით სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განსახორციელებელი სპეციალური ჭრისთვის გამოყოფილ და ათვისებული ხე-ტყის მოცულობის შესახებ ინფორმაციას

- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიაზე 2012 წლიდან დღემდე გამოყოფილ ტყეკავებში მოსაპოვებელი მერქნული რესურსის მოცულობას ჭრის მიზნისა და წლების მიხედვით . (იხ.დანართი 4-ის

პირველი გვერდი)

- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიაზე 2012 წლიდან დღემდე ათვისებული მერქნული რესურსის მოცულობა (მ3) ჭრის მიზნისა და წლების მიხედვით; (იხ. დანართი 4-ის მეორე გვერდი)
- 2011 წლიდან დღემდე სსიპ დაცულ ტერიტორიებზე უკანონო თევზჭერის, ნადირობისა და ხე-ტყის ჭრის შედეგად მოპოვებული რესურსების რაოდენობა; (იხ. დანართი 5 -1 გვერდი)
- რაც შეეხება გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის შესახებ ინფორმაციას, განვმარტავთ, რომ დანართში აღნიშნული რეგულაციების მექანიზმებიდან გამომდინარე, მოპოვებული გადამფრენი ფრინველების კონკრეტული რაოდენობის დადგენა არ ხერხდება (იხ. დანართი- 6)
- 2011 წლიდან დღემდე სამონადირეო მეურნეობებში მოპოვებული რესურსების რაოდენობა. (იხ. დანართი -7)

რაც შეეხება დაცული ტერიტორიების გარეთ 2011 წლიდან დღემდე უკანონო თევზჭერის, ნადირობის და ხე-ტყის ჭრის შედეგად მოპოვებული რესურსის რაოდენობას, ინფორმაცია, მისი მასშტაბიდან გამომდინარე, საჭიროებს დამუშავებას. შესაბამისად, აღნიშნულ ინფორმაციას მოგაწვდით უახლოეს დღეებში.

დანართი 7 ფაილი (5 Excell-ისა და 2 PDF ფაილი).

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის  
უფროსი (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე  
პასუხისმგებელი პირი)



ეკატერინე ბენდელიანი